რა უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლისთვის აკომოდაციის შერჩევისას

აკომოდაცია გულისხმობს გარემოს მორგებას ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდის მიზნით. რაც თავის მხრივ შესაძლოა გულისხმობდეს ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიული მეთოდების გამოყენებას, (მაგალითად აუდიო ფორმატით, კითხვის ნაცვლად), გამოკითხვისა და შეფასების მეთოდების მოდიფიცირებას, სწავლის პროცესში დამხმარე მოწყობილობების გამოყენებას და ა.შ.

შესაბამისი აკომოდაციის შერჩევაში, ქვემოთ მოცემული შეკითხვები დაგეხმარებათ:

- შეუძლია თუ არა ბავშვს ასაკის შესაბამის აქტივობებში ჩართვა თანატოლების მსგავსად? თუ არა, რა სირთულებითაა განპირობებული ეს?
- უმკლავდება თუ არა ბავშვი დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებას თანატოლებთან შედარებით?
- რა ძლიერი მხარეები და საჭიროებები აქვს ბავშვს? საჭიროებები შეიძლება იყოს ნებისმიერი სირთულე, რომელიც ბავშვს ხელს უშლის ამა თუ იმ საგნის შესაბამისი პროგრამის დაძლევაში.
- შეუძლია თუ არა ბავშვს იგივე სასწავლო რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, რომელსაც თანაკლასელები იყენებენ? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა ტიპის ცვლილებებია საჭირო რესურსების/ინსტრუმენტების გამოყენების ხელშესაწყობად?
- რა უნარების დაუფლებას საჭიროებს ბავშვი ასაკის გათვალისწინებული მასალის წარმატებით დაძლევისთვის? (მაგ: სწავლების კონკრეტული სტრატეგია, კითხვის უნარები)
- საკმარისია თუ არა ბავშვისთვის ვარჯიშისა და უკუკავშირის იგივე ოდენობა, რაც მისი თანატოლებისთვის?
- აქვს თუ არა ბავშვს ფიზიკური ან/და სენსორული სირთულეები, რომელთა დაძლევაც რაიმე აკომოდაციითაა შესაძლებელი? მაგალითად, მსხვილი შრიფტი, სასმენი აპარატი, ბეჭდვა წერის ნაცვლად.
- რამდენად ეფექტურია ბავშვის შეფასება იმავე მეთოდით, რომლითაც მისი თანაკლასელების შეფასება ხდება?
- შეუძლია თუ არა ბავშვს იმავე ტემპით მუშაობა, როგორც მის თანაკლასელებს?
- საჭიროებს თუ არა ბავშვი ალტერნატიული და აუგმენტატური კომუნიკაციის დამხმარე საშუალებების გამოყენებას?
- იყენებს თუ არა ბავშვი მოცემულ ეტაპზე რაიმე აკომოდაციას? რამდენად ეფექტურია იგი? თუ არა, რისი შეცვლაა საჭირო?